



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

აჭარისწყალი

აჭარისწყალი, მდინარე აჭარაში, ჭოროხის მარჯვ. შენაკადი. სიგრძე 90 კმ, აუზის ფართ.1540კმ² სათავე აქვს არსიანის ქედის დას. კალთაზე, გოდერძის უღელტეხილის ჩრდ-ით. სათავეში რიყეთისწყალი ეწოდება, მდ. ღორჯომისწყლის შესართავს ქვემოთ ა. მიედინება ვიწრო, ღრმა, ლამაზ, ტყიან ხეობაში. საზრდოობს წვიმის, თოვლისა და მიწისქვესა წყლით. მიწისქვეშა ჩამონადენი მთელი ჩამონადენის 30%-ს შეადგენს, თოვლისა – 25%-ს, წვიმისა – 45%-ს. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე, წყალმცირეა ზაფხულის ბოლოსა და შემოდგომის დასაწყისში. ზაფხულსა და შემოდგომაზე იცის წყალმოვარდნა. ხარჯი 47,8 მ³/წმ. შენაკადებია: მარცხ. – სხალთა, ჩირუხისწყალი, მერისი (აკვარეთა), ხოხნისწყალი; მარჯვ.–ღორჯომისწყალი, ჭვანისწყალი, აგარისწყალი.

ა-ზე აგებულია ანჰესი.

ი. აფხაზავა
